№16-2/21 „28“ ივნისი 2021 წ.

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №36-ში (ს/კ№01.72.14.034.022) დაპროექტებული შენობის მშენებლობის გავლენისა, ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებზე.

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №36-ში შ.პ.ს. „ხარული“-ს თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ№01.72.14.034.022) დაგეგმილი აქვს განახორციელოს სავაჭრო შენობის მშენებლობა.

შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილი გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან ვარიანტში. საპროექტო შენობის გეგმითი მოხაზულობა განსაზღვრულია წითელი ხაზების მოხაზულობით. საპროექტო შენობას, წითელი სასაზღვრო ხაზის დასავლეთით ესაზღვრება გრუნტის გზა სიგანით 4.0მ; ხოლო შემდეგ მიწის ნაკვეთი ს/კ№01.72.14.032.953 (მესაკუთრე მარგალიტა გოგიჩაშვილი); მასზე მდებარე შენობით. შენობა ერთ სართულიანია, გეგმაში მართკუთხა მოხაზულობის მქონე, გაბარიტული ზომებით L×B=12×6მ. მანძილი საპროექტო წითელი ხაზიდან შენობამდე 4.0მ.-ია; ხოლო მინიმალური მანძილი საპროექტო შენობიდან არსებულ შენობამდე 10.5მ.

სამხრეთიდან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება რამოდენიმე ნაკვეთი რომელთა საკადასტრო კოდებია: 01.72.14.034.531 (მესაკუთრე გიორგი გულედანი); 01.72.14.034.489 (მესაკუთრე გიორგი ნოზაძე); ნაკვეთზე განთავსებულია სამი შენობა (1/1; 2/1; 3/1; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკადასტრო გეგმის მიხედვით. უფრო ახლოს საპროექტო ნაკვეთთან იმყოფება შენობები 1/1 და 3/1).

მანძილი საპროექტო შენობიდან მესაკუთრე გიორგი გულედანის ნაკვეთის წითელ (სასაზღვრო) ხაზამდე შეადგენს 5.28მ.-ს; ხოლო საპროექტო და არსებულ შენობებს შორის 12.3მ.

მანძილი საპროექტო შენობიდან მესაკუთრე გიორგი ნოზაძის ნაკვეთის წითელ (სასაზღვრო) ხაზამდე შეადგენს 11.0მ.-ს; ხოლო საპროექტო და არსებულ 1/1 და 3/1 შენობებს შორის, შესაბამისად 16 და 13მ.
აღმოსავლეთიდან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება მიწის ნაკვეთი, რომელიც თავისუფალია შენობა-ნაგებობებისაგან, საკადასტრო კოდით 01.72.14.034.557 (მესაკუთრე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული, ნაკვეთის სიგანეა 6მ.); შემდეგ კი დავით აღმაშენებლის ხეივანი.

ჩრდილოეთიდან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება მიწის ნაკვეთი რომლის საკადასტრო კოდია: 01.72.14.034.021 (მესაკუთრე შ.პ.ს. „გიითი“). ნაკვეთზე განთავსებულია ორი შენობა (უფრო მოზრდილი 1/3 და მომცრო 2/1; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკადასტრო გეგმის მიხედვით. უფრო ახლოს საპროექტო ნაკვეთთან იმყოფება შენობა 2/1. შესაბამისი მანძილები საპროექტო შენობასა და 1/3 შენობას შორის 8მ.-ია, ხოლო საპროექტო შენობასა და 2/1 შენობას შორის 1მ.

დასკვნა:

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №36-ში (ს/კ№01.72.14.034.022) შ.პ.ს. „ხარული“-ს, თავის .კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი აქვს ააგოს ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი შენობა სადაც განთავსდება ოთხ სართულიანი სავაჭრო ცენტრი. შენობას არ გააჩნია მიწისქვეშა სარდაფის სართული. ზემოაღწერილიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ საპროექტო და არსებულ შენობებს შორის მანძილების სიდიდის გათვალისწინებით, სამხრეთი; დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარეებიდან, არსებულ შენობა-ნაგებობებს მშენებლობა არანაირ ზიანს არ მიაყენებს და მათი უსაფრთხო მუშაობაუზრუნველყოფილი იქნება, რაიმე დამატებითი სახის საინჟინრო ღონისძიებების გამოყენების გარეშე, რაც შეეხება ჩრდილოეთი მხრიდან არსებულ 2/1 ნაგებობას, საჭიროა მის გასწვრივ მოეწყოს ნაბურღ-ინექცირებული ხიმინჯები დიამეტრით 15სმ, რომელთა ცენტრებს შორის მანძილი ტოლი იქნება 80სმ. ნაბურღ-ინექცირებული ხიმინჯები მოეწყობა მთლიანად შენობის სამხრეთი მხარის გრძივი ტორსის გასწვრივ ხიმინჯების თავები გაერთიანდება მონოლითური რკინაბეტონის კოჭით, რომელიც უზრუნველყოფს ხიმინჯების ერთდროულ მუშაობას. მოცემული ღონისძიება დაიცავს 2/1 შენობას დაზიანებისაგან და უარყოფითი ზემოქმედებისაგან. ხიმინჯების რაოდენობა 18ც. სიღრმე 9მ.

შ.პ.ს. ”ჰიდროპროექტი”-ს
დირექტორი /ნ.ქიქავა/